

მანანა სანაძე გონელი არახამია

VI ს. ისტორიული ქრონიკა „დავით და კოსტანტინეს წამებაში“

მეორე გამოცემა

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი

2022

წინამდებარე ნაშრომი არის აღნიშნული წიგნის მეორე გამოცემა. ის პირველისგან განსხვავდება იმით, რომ მასში გათვალისწინებულია მ. სანაძის მიერ წიგნში გაჟღერებული საკითხების მიმართულებით შემდგომ წლებში ჩატარებული უახლესი კვლევების შედეგები, რომლებიც გამოქვეყნდა შემდეგ მონოგრაფიებში: მ. სანაძე, 2019, ქართველთა ცხოვრება, წიგნი I — *შესავალი ქართველთა ცხოვრებაში*; მ. სანაძე, 2020, *ქართლის მეფე დარჩილი და მისი ცხოვრების ამსახველი ქრონიკები*.

წიგნი ეძღვნება ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლის „დავით და კოსტანტინეს წამების“ (XI ს.) ტექსტში VI საუკუნის ისტორიული ქრონიკის ნაკვალევის გამოვლენას. განკუთვნილია სპეციალისტებისა და ჰუმანიტარული პროფილის სტუდენტებისათვის.

რედაქტორი
თამარ ქორიძე

ინგლისური თარგმანი:
მაია ჩხეიძე,
ნათია ასათიანი
ირინა ბაგაევა

ინგლისური ტექსტის რედაქტორი ლელა ვერბი

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა © 2013

საქართველო, თბილისი

კოსტავას 77ა

ISBN 978-99941-9666-3-7

სარჩევი

1. VI ს. ისტორიული ქრონიკა „დავით და კოსტანტინეს წამებაში“	5
• თხზულების სათაური.....	5
• რედაქციები, ხელნაწერები, პუბლიკაციები.	5
• ისტორიოგრაფია.....	6
• „დავით და კოსტანტინეს წამების“ ვრცელი რედაქციის წყაროები.	8
• „დავით და კოსტანტინეს წამების“ ვრცელ (თავდაპირველ) რედაქციაში აღწერილი ამბების ქრონოლოგიური ჩარჩო.....	14
• აგიოგრაფიული თხზულების შექმნის დრო	27
• VI ს-ის ისტორიული ქრონიკის რეკონსტრუქცია.....	32
2. „დავით და კოსტანტინეს წამება“ - ტექსტები.....	38
• ტექსტების გამოცემისათვის	38
• ვრცელი, თავდაპირველი რედაქციის ტექსტი.....	40
• ორი ვრცელი სვინაქსარული რედაქციის ტექსტი.....	40
• სამი მოკლე სვინაქსარული რედაქციის ტექსტი	76
3. კომენტარები	78
Comments (In Georgian)	78
4. The VI Century Historic Chronicle in „The Martyrdom of Davit and Kostantin“	98
• The title of the hagiographic narration.....	98
• Redactions, Manuscripts, Publications	98
• Historiography.....	99
• The Sources of the Extensive Redaction of „The Martyrdom“	100

•Chronological frame of the facts depicted in the extensive redaction of „The Martyrdom of Davit and Kostantin“	106
•The Date of the Creation of Hagiographic Narration... ..	118
•Reconstruction of the VI Century Historical Chronicles	122
•For Publishing the English Version of the Text.....	123
 5. „The Martyrdom of Davit and Kostantin“	
•Text of the Extensive Reduction	124
•Reconstruction of VI Century Historic Chronicle	126
 6. ბიბლიოგრაფია	146
Biblioraphy.....	146
 7. დანართი - „დავით და კოსტანტინეს წამების“ ანტონ კათოლიკოსისეული ტექსტი	150
Appendix - „The Martyrdom of Davit and Kostantin“ Text belonged to Patriarch of Georgia Anton (In Georgian)	150
 8. საძიებელი	172
Index (For Georgian texts) ,.....	172
 9. Index (For English texts).....	176

VI ს. ისტორიული ქრონიკა „დავით და კოსტანტინეს წამებაში“

თბზულების სათაური. დავითისა და კოსტანტინეს წამებისადმი მიძღვნილი აგიოგრაფიული თბზულება ჩვენამდე მოღწეულია შემდეგი სათაურით - „წამება და ღუაწლი წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი, რომელნი იწამნეს ქუეყანასა ჩრდილოეთისასა, სანახებსა არგუეთისასა, საბრძანებელსა ქართველთასა, შემდგომად მიცვალებისა დიდისა მის და მალღისა მეფისა ვახტანგ გორგასალისსა, რომელმან მეფობაჲ ყოვლისა ქუეყანისაჲ საფლავად შთაიტანა, უღმრთოჲსა მის მძლავრისა სპარსთა მეფისა მურვან აბულ-კასიმისგან, რომელსა ეწოდა ნართაულად ყრუ, რომელი იყო დისწული მუჰმად ცულ სახელისა მოციქულისა“. სიმოკლისათვის მას „დავით და კოსტანტინეს წამებას“ ვუწოდებთ.

რედაქციები, ხელნაწერები, პუბლიკაციები. დღეისათვის მოღწეულია „დავით და კოსტანტინეს წამების“ ორი რედაქცია - ვრცელი (თავდაპირველი), რომელსაც სპეციალურ ლიტერატურაში მეტაფრასულ* უწოდებენ და მისგან მომდინარე სვინაქსარული** ანუ კონსპექტური რედაქცია ხუთ ვერსიად.

„დავით და კოსტანტინეს წამების“ ვრცელი რედაქციის შემცველი 12 ხელნაწერი შემოგვრჩა. ესენია: Q - 762 (კრებული. XIII - XIV სს.); A- 170 (ქართველ წმინდანთა ცხოვრება. 1733 წ.); A- 518 (კრებული. 1708); A-130 (კრებული. 1713 წ.); H-2077 (კრებული.

***მეტაფრასი** - IX-X სს-ში ბიზანტიაში წარმოიშვა ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელსაც არ აკმაყოფილებდა ძველი აგიოგრაფიული ძეგლების „ლიტონი და მარტივი ენა“. ამიტომ ბიზანტიის ეკლესიაში იწყეს ამ ძველი ტექსტების გაფრთხილება-შემოკლება, ანუ მეტაფრასირება. „მეტაფრასი“ ბერძნული სიტყვაა და სიტყვის (ფრასა) გაფრთხილებას ნიშნავს. მეტაფრასულ მიმდინარეობას საფუძველი დაუდო გამოჩენილმა ბიზანტიელმა საეკლესიო მწერალმა სვიმონ ლოლოთეებმა, მეტაფრასტად წოდებულმა. ამ მიმდინარეობამ გაფრთხილება ჰყოვა საქართველოშიც (იხ. კეკელიძე, 1980, გვ. 505-507).

****სვინაქსარი** - სვინაქსარი ეწოდება კრებულს, სადაც თავმოყრილია წმინდანების მარტილობა-ცხოვრებათა შემოკლებული რედაქციები, რომლებიც გამოხატულია ღვთისმსახურებისათვის, კერძოდ, მრევლისათვის ეკლესიაში წასაკითხად. ამიტომ სვინაქსარული ძეგლები ჩვეულებრივ აგიოგრაფიულ თბზულებათა მოკლე კონსპექტური ვერსიებია.

1736 წ.); H-2121 (ქართველ წმინდანთა ცხოვრება. 1748 წ.); A-1136 (დავით და კოსტანტინეს წამება. XVIII ს.); ქუთ.-34 (ერეზული. XVIII ს.); H- 1672 (ქართველ წმინდანთა ცხოვრება. 1740 წ.); A-176 (ქართველ წმინდანთა ცხოვრება.1743 წ.); ლენინგ. H-22 (ქართველ წმინდანთა ცხოვრება. XVII-XVIII სს.); ქუთ.-4 (ერეზული. 1565 წ.).

თხზულება ერთ-ერთი ხელნაწერის მიხედვით პირველად გამოაქვეყნა მ. საბინინმა (საბინინი, 1882, გვ. 323-330). მასვე ეკუთვნის მისი რუსული თარგმანი (იხ. საბინინი, 1871, გვ. 154-165).

„დავით და კოსტანტინეს წამების“ ვრცელი რედაქციის აკადემიური გამოცემა, რომელიც ჩვენამდე მოღწეულ თორმეტივე ხელნაწერს ემყარება, განახორციელა გ. კიკნაძემ (იხ. ძეგლები, 1971, გვ. 248-263; იხ. აქვე, გვ. 39-74).

სვინაქსარული, ანუ კონსპექტური რედაქციის ხუთივე ვერსია, დაცული ათ ხელნაწერში, გამოსაცემად მოამზადა ე. გაბიძაშვილმა (იხ. ძეგლები, IV ,1968, გვ. 359-366; იხ. აქვე, გვ. 42-76).

არსებობს „წამების“ კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I-ის მიერ 1768-1769 წწ. „შესხმის“ სტილით დაწერილი ვერსიაც (იხ. ძეგლები, 1980, გვ. 154-169; იხ. აქვე, დანართი 1).

ისტორიოგრაფია. ვინაიდან სვინაქსარული რედაქციებისათვის ამოსავალია თხზულების ვრცელი რედაქცია, ბუნებრივია, რომ იმთავითვე მკვლევართა ყურადღება სწორედ ამ ვრცელმა რედაქციამ მიიპყრო. მთავარი განსასაზღვრი იყო თხზულების წყაროები და მისი შექმნის დრო.

ს. კაკაბაძე თვლიდა, რომ თხზულებას საფუძვლად დაედო „დავით და კოსტანტინეს წამების“ კიმენური* რედაქცია, ბერძნულ ენაზე დაწერილი, რომელიც მოგვიანებით თარგმნეს ქართულად და განავრცეს კიდევ. მკვლევარმა თარგმანის კვალი თხზულების შემდეგ სიტყვებში დაინახა: „ესრეთ შთაყარნენ იგინი მდინარესა მას ფასონსა, რომელ არს ენითა ქართულითა რიონი“ (იხ. აქვე, გვ. 62)

***კიმენური** ეწოდება აგიოგრაფიულ ნაწარმოებს, რომელიც შეიქმნა ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში მეტაფრასული მიმართულების დამკვიდრებამდე (X ს-ის 80-იანი წლები) და მიიჩნეოდა „ლიტონად და მარტივად“ აღწერილ თხზულებად.

კ. კეკელიძემ, უპირველეს ყოვლისა, თხზულების შექმნის დროზე გაამახვილა ყურადღება. მისი თვალსაზრისით, „დავით და კოსტანტინეს წამების“ მეტაფრასული რედაქცია შედგენილია არა უადრეს XII ს-ის I ნახევრისა. დათარიღებას საფუძვლად უდევს ის წყაროები, რომლებიც, მკვლევარის აზრით, გამოუყენებია „წამების“ ავტორს. მისი შეხედულებით, მეტაფრასული რედაქციის ავტორს გამოუყენებია „დავით და კოსტანტინეს წამების“ ძველი, კიმენური რედაქცია, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. რაც შეეხება ისტორიულ ფონს - სპარსთა მიერ იერუსალიმის აღების, იქ აღმართული მაცხოვრის ჯვრის დატყვევებისა და შემდგომ განთავისუფლების შესახებ ამბების თხრობას - აქ, კ. კეკელიძის აზრით, ავტორი იყენებს ანტიოქე სტრატეგის თხზულებას „წარტყვევანად იერუსალიმისად“, რომელიც ქართულად X ს-ში უთარგმნიათ. მისივე თვალსაზრისით, ავტორს გამოუყენებია, აგრეთვე, „ქართველთა ცხოვრების“ („ქართლის ცხოვრების“) ის მონაკვეთი, სადაც მოთხრობილია მურვან ყრუს შემოსევის შესახებ (ამ ნაწილის ავტორად კ. კეკელიძეს ჯუანშერი მიაჩნია, რომელსაც XI-ის მოღვაწედ თვლის); და ბოლოს, ანტიმაჰმადიანური პოლემიკის ნაწილში, კ. კეკელიძის აზრით, ავტორი მისდევს ერთ ანტიმაჰმადიანურ პოლემიკურ თხზულებას, რომელიც არსენ ვაჩეს მის დოგმატიკონშია მოთავსებული და XI-ის დასასრულით თარიღდება (კ. კეკელიძე, 1980, გვ. 538).

პ. ინგოროყვას აზრით, „დავით და კოსტანტინეს წამება“ დაიწერა XI ს-ში, ავტორს თავისი თხზულების საფუძვლად გამოუყენებია დავითისა და კოსტანტინეს შესახებ ძველი ტექსტი, რომელსაც მიუთითებს კიდევაც თავის წყაროდ, როგორც „ძველნი უწყებანი“ (ინგოროყვა, 1978, გვ. 467).

მ. სანაძემ 2001 წ. საგანგებოდ შეისწავლა „ქართველთა ცხოვრებაში“ არაბთა დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის ამსახველი მონაკვეთი და შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „დავით და კოსტანტინეს წამების“ ვრცელი (მეტაფრასულად წოდებული)

რედაქციის ავტორი კი არ იყენებს „ქართველთა ცხოვრებას“ თავის წყაროდ, არამედ, პირიქით, „ქართველთა ცხოვრების“ აღნიშნული მონაკვეთის ავტორისათვის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს „დავით და კოსტანტინეს წამება“. ერთ-ერთ წყაროდ იმიტომ, რომ „ქართველთა ცხოვრებაში“ არაბთა ლაშქრობის მთხრობელი მემატინე იყენებდა სხვა ქრონიკასაც, რომელსაც „დავით და კოსტანტინეს წამების“ ავტორი არ იცნობდა. ამიტომაც „ქართველთა ცხოვრებაში“ ერთმანეთში შერწყმული აღმოჩნდა ქრონოლოგიურად სხვადასხვა დროს მომხდარი ორი სხვადასხვა ლაშქრობის ამბავი. თუმცა მ. სანაძე იმხანად ჯერ კიდევ თვლიდა, რომ „ქართველთა ცხოვრების“ აღნიშნული მონაკვეთის ავტორის მიერ თავის წყაროდ გამოყენებულ ქრონიკებში, ორი სხვადასხვა დროს მომხდარი შემოსევა კი იყო მოთხრობილი, მაგრამ ორივე არაბთა (სანაძე, 2001, გვ. 63-73; სანაძე, ბერაძე, 2004, გვ. 70-78).

„დავით და კოსტანტინეს წამების“ ვრცელი (თავდაპირველი) რედაქციის წყაროები. წყაროების მიმოხილვისათვის ჩვენ გავყევით თავად თხზულების თხრობის თანმიმდევრობას. პირველ ყოვლისა, შევცხებით ინფორმაციებს, რომლებიც ჰერაკლე კეისრის მმართველობის პერიოდს ეხება:

1. *მოთხოვა იერუსალიმის ჯვრის სპარსთაგან შეპყრობისა და ჰერაკლე კეისრის მიერ მისი უკან დაბრუნების შესახებ.*

აგიოგრაფიული თხზულების ავტორი თხრობას იწყებს სპარსეთის მიერ იერუსალიმის წარტყვევით, იერუსალიმის ჯვრისა და პატრიარქის დატყვევებითა და სპარსეთში წაყვანით, შემდგომ კი ბიზანტიის კეისრის ჰერაკლეს მიერ სპარსეთის დამარცხებისა და მაცხოვრის ჯვრისა და იერუსალიმის პატრიარქის კვლავ იერუსალიმში დაბრუნების შესახებ ამბების თხრობით (იხ. აქვე, გვ. 40-41). თხზულების ამავე მონაკვეთში, კერძოდ, სპარსელების მიერ იერუსალიმის რბევის აღწერისას ავტორი ასახელებს თავის წყაროს - „წიგნი იერუსალიმის წარტყვევნისა“.

აღნიშნული წიგნის იდენტიფიკაციის თაობაზე მოსაზრება გამოთქვა ნ. მარმა, რომელმაც ის მიიჩნია ანტიოქე სტრატეგის თხზულებად - „წარტყვევნად იერუსალიმისად 614

წელს“ (იხ. ანტიოქე სტრატეგი, 1909, გვ. 42-44). ეს მოსაზრება, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გაიზიარა კ. კეკელიძემ (კეკელიძე, 1980, გვ 538).

„იერუსალიმის წარტყვევნის წიგნი“, რომელიც ბერძნულ ენაზე დაწერა იერუსალიმის საბა წმინდის მონასტრის წინამძღვარმა, ანტიოქე სტრატეგმა (VII-ს-ის I მეოთხედი) ფრიად პოპულარული იყო შუა საუკუნეების ქრისტიანულ აღმოსავლეთში.

ანტიოქე სტრატეგის აღნიშნული თხზულების სრული ბერძნული ტექსტი, მისი პოპულარობის გამო, არაბულად ითარგმნა VIII-IX ს-ში. არაბული ტექსტი X ს-ში ითარგმნა ქართულად. სწორედ ეს თარგმანი მიაჩნიათ „წამების“ ერთ-ერთ წყაროდ ნ. მარს და კ. კეკელიძეს (თარგმანის ტექსტი იხ. ანტიოქე სტრატეგი, 1909, გვ. ა-დვ).

„დავით და კოსტანტინეს წამების“ შესაბამისი ადგილის ანტიოქე სტრატეგის თხზულებასთან შედარებამ გვიჩვენა, რომ „წამების“ ავტორი უშუალოდ სტრატეგის თხზულებით არ სარგებლობდა - მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა: სტრატეგი გვამცნობს, რომ სპარსეთის შაჰის ხოსროს სარდალმა იერუსალიმის ჯვრის წარტყვევნისას სპარსეთში თან იერუსალიმის პატრიარქი ზაქარია წაიყვანა (614 წ.), რომელიც ტყვეობაში გარდაიცვალა. ამიტომ უკვე ბიზანტიის კეისარმა ჰერაკლემ, როდესაც „ძელი ცხოვრებისა“ უკან, იერუსალიმში დააბრუნა (630 წ), იერუსალიმის პატრიარქის რანგში აიყვანა მოდისტო (კულაკოვსკი, 2004, გვ. 277 - 278). ჩვენს ავტორს კი ჰგონია, რომ ჰერაკლე კეისარმა „ძელი ცხოვრებისას“ იერუსალიმში დაბრუნების შემდეგ პატრიარქად კვლავ ზაქარია აღადგინა, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ამიტომ, ამკარაა, რომ „დავით და კოსტანტინეს წამების“ ავტორისათვის ანტიოქე სტრატეგის თხზულება წყარო არ ყოფილა. სპარსეთის შაჰის ხოსროს მიერ „ღვთივდაცული“ ქალაქის იერუსალიმის დარბევის, „ძელი ცხოვრებისას“ გატაცების და ამის გამო ღმრთის მიერ მისი დასჯის ამბის ფრიად პოპულარულობის გამო, ამ სიუჟეტის ამსახველი არა ერთი „წიგნი“ არსებობდა ბერძნულ, არაბულ,

სომხურ და, სავარაუდოდ, ქართულ ენებზე, რომლებშიც ეს ისტორიული მოვლენა მეტ-ნაკლები სისრულითა და სხვადასხვა დიდაქტიკური რაკურსით იყო ასახული. ფაქტია, რომ ჩვენი ავტორი ამ ამბის თხრობის, ანუ „იერუსალიმის წარტყვევნის წიგნის“ ისეთი ვერსიით სარგებლობდა, სადაც ჯვრის ეირუსალიმში დაბრუნების თხრობაში ჰერაკლეს მიერ იერუსალიმის პატრიარქად კვლავ ზაქარიას აღდგენაზე იყო საუბარი.

ვარაუდს, რომ აღნიშნული სიუჟეტი, ანუ იერუსალიმის წარტყვევნის ამბავი, საქართველოშიც სხვადასხვა სისრულით და განსხვავებული დეტალებით იყო ცნობილი, ადასტურებს ის ფაქტი, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და, შესაბამისად, მასზე დამოკიდებული სუმბატ დავითის-მე იმავე ამბის თხრობაში ჰერაკლეს მიერ ხელდასხმულ პატრიარქად ასახელებს მოდისტოს და არა ზაქარიას, რაც სწორია.

„დავით და კოსტანტინეს წამებაში“ იერუსალიმის პატრიარქზე მონათხრობს ეხმიანება VIII-IX სს-ის ბიზანტიელი ავტორის თეოფანე ადმსარებლის (გარდ. 818 წ.) „ქრონოგრაფიაში“ ცხოველმყოფელ ჯვართან დაკავშირებით დაცული ცნობები, რომელთა თანახმად, ხოსროს ვაჟმა კავად-შიროიმ მამამისის სიკვდილით დასჯის შემდეგ, „დაუბრუნა ირაკლის (იგულ. ჰერაკლე კეისარი) სპარსელებთან ტყვეობაში მყოფი ქრისტიანები პატრიარქ ზაქარიასთან და პატიოსან ცხოველმყოფელ ჯვართან ერთად, რომელიც თავის დროზე იერუსალიმიდან წარტყვენა სპარსმა სარდალმა, შაჰ-ბარაზმა“ (იხ. Theophanes, Chronographia, 1883 გვ. 327–328; Летопись Византийца Феофана, 1984, გვ. 241).

ამგვარად, აშკარაა, რომ „დავით და კოსტანტინეს წამების“ ავტორი უშუალოდ ანტიოქე სტრატეგის თხზულებით არ სარგებლობდა. სავარაუდოდ, მას ხელთ ჰქონდა ან თეოფანეს ნაშრომი ან მისი წყარო, შესაძლოა, შინაარსით მასთან ახლო მდგომი რომელიმე სხვა თხზულება.

2. ცნობა ჰერაკლე კეისრის მიერ თავისი ასულის ყივჩაყთა მეფისათვის მითხოვებაზე.

„ხოლო უმნდა ესე ღმთის-მსახურსა მეფესა ბერძენთასა ჰერეკლეს და ბრძანებითა ღმრთისადათა განილაშქრა სპარსთა ზედა, შევიდა ქუეყანასა კომანთასა, რომელ არიან ყივჩაყნი და მისცა ასული თჳსი ცოლად მეფესა ყივჩაყთასა და წარიყვანა ყოვლითა ძალითა მისითა ძალად თჳსად და შევიდა სპარსეთს, და მოკლა ხუასრო სპარსთა მეფე“ (იხ. აქვე, გვ. 41). ჰერაკლეს ასულის თურქთა ხაკანსა, თუ მის მემკვიდრეზე დაწინდვის შესახებ არა ერთი წყარო მოგვითხრობს: ბიზანტიური, არაბული, სირიული, სომხური. თუმცა არსად არ იხმარება ეთნიკური სახელები: კომანი და ყივჩაყი. ასევე არსად არაა შემონახული ცნობა კეისრის ასულისა და ხაკანის, თუ მისი ვაჟის ქორწინების შესახებ (სინამდვილეში ქორწინება არ შედგა სასიძოს გარდაცვალების გამო). ამდენად, ზუსტი წყაროს მითითება ამ ინფორმაციის წარმომავლობის თაობაზე ვერ ხერხდება. არაა გამორიცხული, რომ *მითხოვება*, დაწინდვის შესახებ ინფორმაციის, „დავით და კოსტანტინეს წამების“ ავტორისმიერი ინტერპრეტაცია იყოს (იხ აქვე, კომენტარი 9). რაც შეეხება ეთნონიმებს „კომანს“ და „ყივჩაყს“, აშკარაა, რომ „წამების“ ავტორს მის მიერ წყაროდ გამოყენებულ ბერძნულენოვან თხზულებაში „კომანი“ ეძლეოდა და ის შეეცადა ქართველი მკითხველისათვის ნაკლებად ცნობილი ეთნონიმი „კომანი“ უფრო ცნობილი ეთნონიმით „ყივჩაყით“ განემარტა.

3. ინფორმაცია ჰერაკლესა და მუჰამედის შეხვედრის შესახებ.

ამ ფაქტის თაობაზე თხრობა ახლოსაა 1042 წელს გიორგი მთაწმინდელის მიერ ბერძნულიდან ქართულად თარგმნილი თხზულების - „კონსტანტინოპოლის გარემოცვის“, ცნობებთან (იხ. კონსტანტინოპოლის გარემოცვა, 1900, გვ. 8 – 60). შედარებისათვის ორივე თხზულებიდან მოგვაქვს შესაბამისი ადგილები:

„დავით და კოსტანტინეს წამება“: „ხოლო მო-რა-ქცეულ იყო მეფე სპარსეთით ეგჳპტეს, მუჰმედ წინა მიეგება მეფესა ჰერაკლეს და უძღუნა ძღუენი დიდი, რამეთუ იყო მდიდარ

ფრიად და მთავრობდა არაბთა ზედა და ითხოვა მეფისაგან ადგილთა საყოფელთა და სასამოვრეთა სამწყსოთა მისთასა, ხოლო მეფემან მისცა ველნი და მთანი ქუეყანასა სინისასა, რომელ არს მაზლობელ არაბეთსა და განძლიერდა მუჰმედ და მთავრობდა სპარსთა და არაბთა ზედა“ (იხ. აქვე, გვ. 42)

„კონსტანტინოპოლის გარემოცვა“: „ესე მოჰმედ მორაიქცულ იყო მეფე ერაკლე სპარსეთით და მოვიდოდა იზრუსალიმად, მიეგება მეფესა ერაკლეს სიმრავლითა ერისადთა და ითხოვა მისგან ადგილი სამკვიდრებელად მისა და ერისა მის, რომელნი შეუდგეს მას. და მიანიჭა მას მეფემან ერაკლემ და დღითი დღე განივრცნა იგი და განმრავლდა“.

როგორც ვხედავთ, მსგავსება აშკარაა, მაგრამ გვაქვს განსხვავებაც: „კონსტანტინოპოლის გარემოცვა“ არ ასახელებს არაბებისთვის დათმობილი ტერიტორიის კონკრეტულ სახელწოდებას („ქუეყანა სინისა“), ამიტომ, ცხადია, ამ უკანასკნელის მიჩნევა „წამების“ უშუალო წყაროდ მართებული არაა, მაგრამ „წამების“ ავტორი გიორგი მთაწმინდელის ხელთ არსებულ წყაროზე, ან შინაარსით მასთან ახლო მდგომ თხზულებაზე რომ არის დამოკიდებული, ეს აშკარაა. ამ ეტაპზე კონკრეტული წყაროს მიგნება ვერ ხერხდება.

4. *მაჰმადიანობის განქიქება*. კ. კეკელიძე მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში ავტორი სარგებლობს არსენ ვაჩეს მის შედგენილი (XI ს-ის ბოლო - XII ს-ის პირველი მესამედი) კრებულით - „დოგმატიკონი“, სადაც შესულია არსენ ვაჩეს მის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი დოგმატიკურ-პოლემიკური, მათ შორის, ანტიმაჰმადიანური თხზულებები (კეკელიძე, 1980, გვ. 538). ეს თვალსაზრისი კ. კეკელიძისათვის უმთავრესი არგუმენტია „დავით და კოსტანტინეს წამების“ არაუადრეს XII ს-ის I ნახ. დასათარიღებლად.

ტექსტების შედარებამ აჩვენა, რომ „დოგმატიკონში“ მოთავსებული თხზულებებით „წამების“ შემდგენელს უშუალოდ არ უსარგებლია. აღნიშნულ ნაწილშიც კონკრეტული წყაროს გამოვლენა შეუძლებელი ხდება. ერთი რამ სრულიად აშკარაა,

არაბების ისტორიის ასპარეზზე გამოჩენიდან და მათ მიერ ისლამის გავრცელებიდან დაწყებული, არა ერთი პოლემიკური, ანტიმაჰმადიანური ხასიათის თხზულება იქმნებოდა ქრისტიანულ მწერლობაში და მათ შორის ჩვენშიც. ცხადია, რომ საკუთრივ არსენ ვაჩეს ძემაც ამ მემკვიდრეობით ისარგებლა. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამ მემკვიდრეობაზე არსენ ვაჩეს ძისაგან დამოუკიდებლად სხვა ავტორებსაც, მათ შორის, „წამების“ შემდგენელსაც მიუწვდებოდა ხელი.

5. „ძველნი უწყებანი“.

„დავით და კოსტანტინეს წამების“ ავტორმა თავისი თხზულების ძირითად წყაროდ, ბუნებრივია, გამოიყენა მისი გმირების წამების ამსახველი თხრობა. მაგრამ რა სახის იყო მისი წყარო: მარტივი, კიმენურად წოდებული აგიოგრაფიული თხზულება, თუ ისტორიული ქრონიკა, რომელშიც, საქართველოში მტრის ერთ-ერთი ლაშქრობის აღწერისას, მოთხრობილი იყო დავითისა და კოსტანტინეს წამების ფაქტი, როგორც ამ ლაშქრობის პერიოდში მომხდარი ერთი ამბავი?

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, კ. კეკელიძის შეხედულებით, თხზულების ავტორს წყაროდ გამოუყენებია „დავით და კოსტანტინეს წამების“ ძველი, კიმენური რედაქცია, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია და რომელიც ავტორს გაუმეტაფრასტებია, ანუ ისტორიული ამბების ფონზე განუვრცია.

პ. ინგოროყვას აზრით, „დავით და კოსტანტინეს წამების“ ავტორს თავისი თხზულების საფუძვლად გამოუყენებია დავითისა და კოსტანტინეს შესახებ რაღაც ძველი ტექსტი, რომელსაც ის მიუთითებს კიდევაც თავის წყაროდ, ზოგადი სახელწოდებით „ძველნი უწყებანი“.

ე. გაბიძაშვილი არ იზიარებს კ. კეკელიძის და სხვა მკვლევართა თვალსაზრისს „წამების“ კიმენური რედაქციის არსებობის შესახებ და უფრო პ. ინგოროყვას მოსაზრებისკენ იხრება. მისი აზრით, ძველი წყაროებიდან ამოკრებილი მასალა მაინც და მაინც „წამების“ კიმენური ვერსიის არსებობას არ გულისხმობს. თხზულება, რა თქმა უნდა, რაღაც ძველ

წყაროებსაც ითვალისწინებს, მაგრამ ის მეტაფრასული (ანუ კიმენურიდან განვრცობილი) არ არის. თხზულება იმთავითვე დაიწერა იმ სახით, როგორიც დღეს ჩვენამდე მოღწეული ვრცელი რედაქციაა და მისი დაწერის მიზეზი უნდა იყოს ბაგრატ IV-ის მიერ მოწამეთა სახელობის მონასტრის მშენებლობის დასრულებისა და მათი წმინდა ნაწილების იქ დაკრძალვის ფაქტი, თუმცა თხზულების უძველესი ხელნაწერი (Q-762) XIII-XIV სს-ის უნდა იყოს, ხოლო დანარჩენი XVIII საუკუნისაა (გაბიაშვილი, დავით და კოსტანტინეს წამება, ელექტრონული ვერსია: Ka.georgika.ac.ge/isi/).

აღნიშნულ თვალსაზრისს ჩვენც ვიზიარებთ. უფრო მეტიც, როგორც ქვემოთ ვაჩვენებთ, აგიოგრაფიული თხზულების ავტორს გამოუყენებია ქრონიკა, რომელიც ვახტანგ გორგასლის შვილების დარჩილისა და მირდატის სპარსელუბთან ბრძოლას ასახავდა და რომელშიც მოკლედ მოთხრობილი იყო არგვეთელი მთავრების მტერთან ბრძოლის, მათი შეპყრობის და სიკვდილით დასჯის ამბავიც, დაკრძალვის ადგილის მითითებით (იხილეთ ქვემოთ).

„დავით და კოსტანტინეს წამების“ ვრცელ (თავდაპირველ) რედაქციაში აღწერილი ამბების ქრონოლოგიური ჩარჩო. აგიოგრაფიულ თხზულებაში აღწერილი ფაქტებისა და მოვლენების ქრონოლოგიური ჩარჩო საკმაოდ დიდ ისტორიულ პერიოდს მოიცავს (VII-XI სს), თუმცა ეს პერიოდები ავტორისათვის ერთნაირი მნიშვნელობისა და ღირებულების არაა.

მოთხრობილი ამბების ერთი ნაწილი შესავლის როლს ასრულებს. აქ ავტორი დიდად არ იცავს ისტორიული ამბების ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან, ავტორი სულ სხვა, კერძოდ, დიდაქტიკურ მიზანს ისახავს - მკითხველი და მსმენელიც დაარწმუნოს, თუ რამდენად წარმატებული იყო აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყარო ბიზანტიაში „ღვთის მოშიში“ მმართველის (ამ შემთხვევაში ჰერაკლე კეისარი) ხანაში, ხოლო შემდგომი იმპერატორების მწვალებლობის გამო, როგორ დასაჯა ღმერთმა ბიზანტია და